თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმი #15

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 26, სტუდენტები – 6, სულ – 32 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

   /დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულისთვის ხარისხების მინიჭების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

3. საგანმანათლებლო პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესი

   /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი №1).

   /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

6. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ პროფ. თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი. დღის წესრიგში შევიდა ცვლილება, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ი. ნაცვლიშვილმა დღის წესრიგში ითხოვა შემდეგი საკითხის დამატება: ეკონომიკა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის №15 საბჭოს დღის წესრიგი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

მოისმინეს: **ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 1998 წელს ძველი წლის კურსდამთავრებულ ლევან თარგამაძის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ატაშ აბდუალევის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულ გვანცა მაჭარაშვილის და გენად უბირიას დიპლომის დანართის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების – ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.**

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მომართეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა:

1. ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 1998 წელს ძველი წლის კურსდამთავებულ ლევან თარგამაძემ გაურკვეველ ვითარებაში დიპლომის დაკარგვის გამო;
2. თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულმა ატაშ აბდულაევმა დიპლომში არასწორად მითითებული აკადემიური ხარისხის გამო;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულებმა დიპლომების შეცვლის თაობაზე:

- საბირჟო საქმისა და ელექტრონული ვაჭრონის სპეციალობის კურსდამთავრებულმა გვანცა მაჭარაშვილმა დიპლომის დაკარგვის გამო (დიპლომის დაკარგვა გამოიწვია საგანგებო შემთხვევამ – ხანძარმა);
- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულმა გენად უბირიამ დიპლომში არსებული ხარვეზის, კერძოდ, არასწორად მინიჭებული ხარისხის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ, ზემოაღნიშნული ბრძანების შემდეგ გახდა სავალდებულო დიპლომის ფორმაში აღნიშნული რეკვიზიტების მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი, სავალდებულო რეკვიზიტების დადასტურება ან/და აღდგენა.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა შემდეგი:

1. ***ლევან თარგამაძეს*** განსხვავებული საგნების ჩაბარების ნება დაერთო საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამო სწავლების II კურსზე მშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე გადმოსაყვანად რ/გ ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტიდან (ბრძანება №4/579, §2, 20.08.1992). 1992 წლის 24 დეკემბრის №44/1100 ბრძანებით როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის II კურსელი ლევან სულიკოს ძე თარგამაძე განსხვავებული საგნების ჩაბარების შედეგად გადმოყვანილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამო სწავლების მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის II კურსზე (ბრძანება №4/1100, 24.12.1992).

   ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ №4/579, 20.08.1992 ბრძანებით ლევან თარგამაძეს განსხვავებული საგნების ჩაბარების ნება დაერთო საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე გადმოსაყვანად, ხოლო №4/1100, 24.12.1992 ბრძანებით იგი განსხვავებული საგნების ჩაბარების შედეგად გადაყვანილი იქნა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მანქანათმშენებლობის სპეციალობის საღამო სწავლების II კურსზე. ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ 1992 წელს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს სწავლების II კურსზე არ იყო მიღება და სწავლა მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე.

ჩვენი აზრით, №4/1100, 24.12.1992 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და ლევან თარგამაძე სინამდვილეში გადმოყვანილი იქნა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამო სწავლების მშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის II კურსზე. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ლევან თარგამაძის პირად საქმეში არსებული სასწავლო ბარათებიც, რომლებზეც სპეციალობად დაფიქსირებულია „ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში".

1993 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს სწავლების მშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის სტუდენტი ლევან სულიკოს ძე თარგამაძე გადაყვანილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების მშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის II კურსზე (ბრძანება №4/1142, §2, 31.12.1993 წ.).

მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის (ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური) ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში 1998 წლის 22 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის დადგენილებით სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა ჩვეულებრივი დიპლომი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სამშენებლო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის ძველი წლის კურსდამთავრებულ ლევან თარგამაძეს.

თსუ რექტორის 1998 წლის 20 ივნისის №4/548 ბრძანებით, როგორც ძველი წლის კურსდამთავრებულ ლევან თარგამაძეს მიენიჭა სათანადო კვალიფიკაცია და მიეცა შესაბამისი დიპლომი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სამშენებლო წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალობით ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით (ბრძანება №4/548, 20.07.1998 წ. – საფუძველი: სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება).

2. როგორც ცნობილია, 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის ფილიალის ლიკვიდაციის შემდეგ სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭება მოხდა 2009 წელს. ფაკულტეტზე ადმინისტრაციული კვლევის ჩატარების შემდეგ დადგინდა, რომ ***ატაშ აბდულაევი*** 2004 წელს ჩაირიცხა თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალში ეკონომიკის ფაკულტეტზე ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით (ბრძანება №01/01-43, 24.08.2004). თსუ ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე შესწავლილი საგნები ატაშ აბდულაევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უღიარა 269 კრედიტის მოცულობით, რაც

მისთვის ხარისხის მინიჭების საფუძველი გახდა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად თსუ-ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ატაშ აბდუალევს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №992/01-04, 02.06.2009 – საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მ.შ. წარდგინება №9587/02, 19.05.2009; №7624/02, 13.04.2009 და №4346/02, 06.03.2009).

ატაშ აბდულაევის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა დააყენა საკითხი თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ატაშ აბდულაევი) მინიჭებული კორექტირების შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ ***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის თსუ ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ ატაშ აბდულაევს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი****(იხ. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №14, 05.12.2014).*

3. ***გვანცა მაჭარაშვილი*** 2004 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე, საბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ფორმაზე, საბირჟო საქმისა და ელექტრონული ვაჭრობის სპეციალობით (ბრძანება №4/929, 2.08.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 242 კრედიტი. თსუ რექტორის 2009 წლის 2 ივნისის №993/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბირჟო საქმისა და ელექტრონული ვაჭრობის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ გვანცა მაჭარაშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით (თსუ რექტორის ბრძანება №993/01-04, 02.06.2009 – საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მ.შ. წარდგინება №9397/02, 15.05.2009).

ვინაიდან, გვანცა მაჭარაშვილის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 24 მაისის სხდომაზე დადგა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2008 წლებში „ბიზნესის მართვის“ საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ ***მოხდეს ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამის №993/01-04, 02.06.2009წ. ბრძანებით კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული ხარისხის***

კორექტირება და აღნიშნული ბრძანებით მინიჭებული „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ შეიცვალოს ხარისხით „ბიზნესის მართვის ბაკალავრი“, ხოლო სწავლის დარგის მითითება მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდში მოქმედი წესის მიხედვით(იხ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №6, 24.05.2013).

4. ***გენად უბირია*** გადმოყვანის წესით ჩაირიცხა 2005-2006 სასწავლო წლის II სემესტრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის არასაბიუჯეტო სექტორის დასწრებული სწავლების ქართული განყოფილების II კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით, რომელიც 2004-2005 წლებში სწავლობდა კავკასიის უნივერსიტეტში (კავკასიის ბიზნესის სკოლა) საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობაზე და დახურა სამი სემესტრი (ბრძანება №4/262, 20.03.2006 წ.).ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მან აითვისა 248 კრედიტი. თსუ რექტორის 2008 წლის 6 ოქტომბრის №1415/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2008 წლის კურს-დამთავრებულ გენად უბირიას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით (თსუ რექტორის ბრძანება №1415/01-04, 06.10.2008, საფუძველი - ფაკულტეტის დეკანის მ.შ. წარდგინება №18939/02, 29.09.2008).

   გენად უბირიასთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. ამჟამად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს საკითხს გენად უბირიას ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა, რომ 1998 წელს ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე დგებოდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი, რის შემდეგაც გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება ხარისხის მინიჭების შესახებ; 2008 და 2009 წლებში აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმის) შესაბამისად, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება. წარდგინების საფუძველზე გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და თსუ არქივში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება ზემოაღნიშნულ ბრძანებებში მითითებული კურსდამთავრებულების სწავლის ფაქტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობებზე. მათ მიენიჭათ ბაკალავრის

აკადემიური ხარისხი და მათ სახელზე გაიცა ბაკალავრის დიპლომები, რაც დასტურდება დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალებით.

1.1998 წელს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე წარმოებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის 32 ოქმი. აღნიშნულ ოქმებზე, გარდა ერთისა, მითითებულია თარიღები. რაც შეეხება ნომერს, იგი დაფიქსირებულია მხოლოდ 5 ოქმზე. ოქმებიდან ჩანს, რომ ისინი წარმოებულია ოთხი კომისიის მიერ და ერთმანეთისგან განსხვავდება სპეციალობები. სპეციალობების დამთხვევის შემთხვევაში, განსხვავება არის დღის, საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებების, ასევე საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სწავლების მხრივ.

<u>პირველი:</u> *კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: პლატონ ქავთარაძე; წევრები: ნოდარ ბიჭიაშვილი, ალექსანდრე ტატიშვილი, ლია კაპანაძე, ნაირა ღვედაშვილი, ლალი ჩაგელიშვილი, ომარ გიგიაშვილი, ვაჟა მათურელი; მდივანი: მალხაზ ფარცვანია)*მიერ წარმოებულია 16 ოქმი. კერძოდ, 1998 წლის 15 მაისს (ერთი ოქმი), 18 მაისს (ორი ოქმი), 22 მაისს (ორი ოქმი), 27 მაისს (ერთი ოქმი), 28 მაისს (ერთი ოქმი), 29 მაისს (სამი ოქმი), 30 მაისს (ერთი ოქმი), 1 ივნისს (ერთი ოქმი), 22 ივნისს (ერთი ოქმი), 23 ივნისს (ერთი ოქმი), 24 ივნისს (ერთი ოქმი) და 25 ივნისს (ერთი ოქმი), რომლებიც უნომროა. აქვე ავღნიშნავთ, რომ ერთ ოქმზე არ არის მითითებული წელი, თუმცა ოქმზე თანდართულ ტექსტში აღნიშნულია 1997-1998 სასწავლო წელი.

<u>მეორე:</u> *კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: გივი მინდელი; წევრები: დავით ძნელაძე, ნუგზარ პაიჭაძე, პავლე ჩაგელიშვილი, სოკრატ ჩოჩოშვილი, რევაზ ჩხაიძე, თემურ ხომერიკი, ოლეგ ევჯიბაძე, ვაჟა მათურელი, გოდერძი ჩანადირი)* მიერ წარმოებულია 11 ოქმი. კერძოდ, 1998 წლის 19 მაისს (ერთი ოქმი), 20 მაისს (ერთი ოქმი), 21 მაისს (ერთი ოქმი), 27 მაისს (ერთი ოქმი), 28 მაისს (ორი ოქმი), 23 ივნისს (ერთი ოქმი), 24 ივნისს (ერთი ოქმი), 25 ივნისს (ერთი ოქმი) და 26 ივნისს (ორი ოქმი). წარმოდგენილი ოქმებს არ გააჩნია ნომრები.

<u>მესამე:</u> *კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: თენგიზ მახვილაძე; წევრები: კლიმენტი აჩელაშვილი, იური ანანიაშვილი, ვაჟა მათურელი, იზა ნათელაური, მარინე ცუცქირიძე, თემურ ხომერიკი; მდივანი: დალი კონიაშვილი)* მიერ წარმოებულია 2 ოქმი - 1998 წლის 25 მაისს ოქმი №1 და 26 ივნისს ოქმი №2. ორივე ოქმი არის დათარიღებული და აქვს ნომერი.

<u>მეოთხე:</u>კომისიის*(კომისიის თავმჯდომარე: თამაზ ბარამიძე; წევრები: მურთაზ მაღრაძე, გივი პარკაძე, ვაჟა გოგიჩაიშვილი; ენვერ ლაგვილავა; ავთანდილ სიხარულიძე, ვაჟა ტულუში; მდივანი: ჯენეტ ბოლაშვილი)* მიერ წარმოებულია 3 ოქმი - 1998 წლის 20 მაისს ოქმი №3, 23 მაისს ოქმი №3 და 26 ივნისს ოქმი №3. სამივე ოქმი არის დათარიღებული და აქვს ნომერი.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იმ ოქმებში, სადაც არასრულყოფილად არის მითითებული რეკვიზიტები, კერძოდ, ოქმის ნომრები, მიზანშეწონილია განისაზღვროს თარიღების მიხედვით. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ცალკეული კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მაგრამ თუ ერთ კომისიას ერთი თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც. კერძოდ სწავლების განყოფილებების მიხედვით დიფერენცირება. საბოლოოდ კი იმ ოქმებზე, რომლებზეც მითითებული არის გადაწყვეტილების თარიღები და არ არის მითითებული ოქმის ნომრები, კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილებებისთვის ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

2. თსუ რექტორის 2009 წლის 2 ივნისის №992/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებები №9587/02, 19.05.2009; №7624/02, 13.04.09; №4346/02, 06.03.09). აღნიშნული ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად, თსუ ქვემო ქართლის ფილიალის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №992/01-04, 02.06.2009).*

   თსუ რექტორის №992/01-04, 02.06.2009 ბრძანებაში მითითებული კურსდამთავ-რებულების პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება თსუ ყოფილის ქვემო ქართლის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის 2007 წლის კურსდამთავრებულების სწავლის ფაქტი და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება შესაბამისი კვალიციკაციით.

   საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2009 წელს მოქმედებდა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორი საატესტაციო კომისია: ეკონომიკის მიმართულებით და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ორივე მიმართულებით შექმნილია თითო ოქმი 2009 წლის 19 თებერვალს და ორივე ოქმის ნომერია №1. ორივე კომისიის თავმჯდომარე იყო დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო კომისიის წევრების შემადგენლობა იყო განსხვავებული. აღნიშნული ოქმები არის ზოგადი სახის, ე.ი. ამ ოქმებში არ არის მითითებული იმ სტუდენტთა გვარები, რომელთაც მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. აქედან გამომდინარე, ამ ოქმებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ და მიზამშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ რექტორის ბრძანებების

(№993/01-04, 2.06.2009 და №1415/01-04, 6.10.2008) საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებები. კერძოდ:

- ✓ თსუ რექტორის 2009 წლის 2 ივნისის №993/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებრის წარდგინება (№9397/01, 15.05.2009). აღნიშნული ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შესაბამისი კვალიფიკაციით. კერძოდ; საბირჟო საქმისა და ელექტრონული ვაჭრობის სპეციალობის 25 კურსდამთავრებულს – მენეჯერის კვალიფიკაციით; ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 65 კურსდამთავრებულს – მენეჯერის კვალიფიკაციით და მენეჯმენტის სპეციალობის 25 კურსდამთავრებულს – მენეჯერის კვალიფიკაციით *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №993/01-04, 02.06.2009).*
- ✓ თსუ რექტორის 2008 წლის 6 ოქტომბრის №1415/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება. აღნიშნული ბრძანებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი გენად უბირიასთან ერთად მიენიჭა ივერი კახნიაშვილს *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №1415/01-04, 06.10.2008).*

ფაკულტეტზე არსებული წარდგინებების ელექტრონული ვერსიებიდან ირკვევა, რომ 2008 წელს, ფაკულტეტზე მოწვეული იყო ორი საატესტაციო კომისია. 2008 წლის 14 აპრილს და 2008 წლის 30 ივნისს. ამჟამად, არ იძებნება 2008 წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული ოქმები. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებების გამოცემის თარიღები, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ".

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

I. აღდგენილად ჩაითვალოს 1998 წელს ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვისხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია.

1. თსუ-ს ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის პირველი კომისიის მიერ 1998 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების სამშენებლო წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,სამშენებლო წარმოების მენეჯერის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 15 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 15 მაისი*** და ნომრად ***№1/3;***
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების სამშენებლო წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,სამშენებლო წარმოების მენეჯერის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 18 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 18 მაისი*** და ნომრად ***№2/3;***
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სამშენებლო წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის,,ინჟინერ-ეკონომისტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 18 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 18 მაისი*** და ნომრად ***№3/3;***
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი (ფასიანი) განყოფილების სამშენებლო წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,ინჟინერ-ეკონომისტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 22 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 22 მაისი*** და ნომრად ***№4/3;***
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სამშენებლო წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ლევან თარგამაძე) ,,ინჟინერ-ეკონომისტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 22 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმისთარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 22 მაისი*** და ნომრად ***№5/3;***
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამო განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქალაქო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,ინჟინერ-ეკონომისტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 27

მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 27 მაისი*** და ნომრად ***№6/3;***

- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „კავშირგაბმულობის საწარმოო მენეჯერის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 28 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 28 მაისი*** და ნომრად ***№7/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ინჟინერ-ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 199? წლის 29 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 29 მაისი*** და ნომრად ***№8/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქალაქო მეურნეობის ეკონომიკის და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ინჟინერ-ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 29 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 29 მაისი*** და ნომრად***№9/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ჯანდაცვის სფეროს მენეჯერის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 29 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 29 მაისი*** და ნომრად ***№10/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ინჟინერ-ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 30 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 30 მაისი*** და ნომრად***№11/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურების და საქალაქო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „მომსახურების სფეროს მენეჯმენტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 1 ივნისი*** და ნომრად***№12/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების სამშენებლო სფეროს ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის

კურსდამთავრებულთათვის „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 22 ივნისი*** და ნომრად***№13/3;***

- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მართვა სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№14/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№15/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№16/3.***

2. თსუ-ს ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მეორე კომისიის მიერ 1998 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების მანქანათმშენებლობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „წარმოების მენეჯერის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 19 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 19 მაისი*** და ნომრად ***№1/3;***
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების კვების მრეწველობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „წარმოების მენეჯერის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 20 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 20 მაისი*** და ნომრად ***№2/3;***
   - ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „წარმოების მენეჯერის“ კვალიფიკაციის მინიჭების

თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 21 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 21 მაისი*** და ნომრად ***№3/3;***

- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა სამრეწველო საწარმოში სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,შრომითი რესურსების მენეჯერის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 27 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 27 მაისი*** და ნომრად ***№4/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,ინჟინერ-ეკონომისტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 28 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 28 მაისი*** და ნომრად ***№5/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,ინჟინერ-ეკონომისტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 28 მაისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 28 მაისი*** და ნომრად ***№6/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების მანქანათმშენებლობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომიკის ბაკალავრის ეკონომიკის ხარისხის მანქანათმშენებელი წარმოების მენეჯერის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს***1998 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№7/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების კვების მრეწველობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომიკის ბაკალავრის ეკონომიკის ხარისხის კვების მრეწველობის წარმოების მენეჯერის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№8/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომიკის ბაკალავრის ეკონომიკის ხარისხის მსუბუქი მრეწველობის წარმოების მენეჯერის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 25 ივნისის სახელმწიფო

საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№9/3;***

- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომიკის ბაკალავრის ეკონომიკის ხარისხის შრომითი რესურსების მენეჯერის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№10/3;***
- ყოფილი მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების შრომის ორგანიზაციის და ნორმირების სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ინჟინერ-ეკონომისტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№11/3***.

3. თსუ-ს ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კომისიის მიერ 1998 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი.
4. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მიერ 1998 წელს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმებში *(იხ. მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

II. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

1. თსუ რექტორის 2009 წლის 2 ივნისის №992/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ქვემო ქართლის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ატაშ აბდულაევი) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს **2009 წლის 2 ივნისი** და ოქმის ნომრად **№992/3**.
2. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თსუ ქვემოს ქართლის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის №992/01-04, 02.06.2009 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში*(იხ. თსუ რექტორის ბრძანება „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის*

შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ - №992/01-04, 02.06.2009).

III. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ***გვანცა მაჭარაშვილი, გენად უბირია***) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

1. თსუ რექტორის 2009 წლის 2 ივნისის №993/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. გვანცა მაჭარაშვილი) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს **2009 წლის 2 ივნისი** და ოქმის ნომრად **№993/პ**.
2. თსუ რექტორის 2008 წლის 6 ოქტომბრის №1415/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (გენად უბირია და ივერი კახნიაშვილი) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს **2008 წლის 6 ოქტომბერი** და ოქმის ნომრად **№1415/პ**.
3. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის №993/01-04, 02.06.2009 და №1415/01-04, 6.10.2008 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში*(იხ. თსუ რექტორის ბრძანებები „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ - №992/01-04, 02.06.2009 და №1415/01-04, 06.10.2008)*.

მოისმინეს: თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულისთვის ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ–მა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის სამსახურეობრივი ბარათი. მასში აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილები, რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ ჯონი ბოლქვაძისთვის ხარისხსის მინიჭება.

ჯონი ბოლქვაძე 2004 წელს ჩაირიცხა საქართველოს ღია ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის ,,ფინანსები და კრედიტის“ სპეციალობით (ბრძანება #1/12, 25.08.2004).

2006 წელს ჯონი ბოლქვაძე დაშვებულ იქნა ტესტირებაზე თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის რექტორის #01/02/01, 14.09.2006 ბრძანებით. ტესტირების გავლის შემდეგ იგი ჩაირიცხა ქვემო ქართლის ფილიალში ეკონომიკის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპევიალობის მე-3 კურსზე. თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის რექტორის #01/02/14, 28.02.2007 წლის ბრძანებით მე-5 სემესტრიდან მე-6 სემესტრში იგი გადაყვანილ იქნა ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობაზე.

თსუ ქვემო ქართლის ფილიალის რექტორის #01/02/22, 15.06.2007 წლის ბრძანებით 2006-2007 სასწავლოს წლის 18 ივნისიდან 30 ივლისის ჩათვლით ჯონი ბოლქვაძე დაშვებულ იქნა ზაფხულის სემესტრის სტუდენტად, ხოლო თსუ ქვემო ქართლის ფილიალის რექტორის #56/01, 14.09.2007 წლის ბრძანებით ჯონი ბოლქვაძე ზაფხულის (დამამთავრებელი) სემესტრის სესიებზე დაშვებული იქნა 17 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე.

თსუ ქვემო ქართლის ფილიალის რექტორის #57/01, 29.09.2007 წლის ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო“ საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ჯონი ბოლქვაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

თსუ რექტორის #121/01-01, 05.12.2011 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის რექტორის #57/01, 29.09.2007 წლის ბრძანება, მისი ძალაში შესვლის დღიდან.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა შეკითხვით მიმართა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ჯონი ბოლქვაძის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, რამდენად მიზანშეწონილ იყო 2006 წელს საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტიდან თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალში გადაყვანის წესით ჩარიცხვა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაადასტურა შემდეგი: ,,2006 წელს საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტიდან თსუ ქვემო ქართლის ფილიალში გადაყვანის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა, განიხილონ საკითხი თსუ-ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2007

წლის კურსდამთავრებულ ჯონი ბოლქვაძის ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარიხსის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. მ. ტუხაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს თსუ-ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ჯონი ბოლქვაძეს ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: **ეკონომიკა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ–მა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი, რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ გენადი უბირიას და ივერი კახნიაშვილისთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება. მათ მიენიჭათ ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით - რექტორის ბრძანება #1415/01-04, 06.10.2008 წ. (საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება #186 39/02, 29.09.2008).

გენადი უბირიას დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18

ნოემბრის #633 ბრძანებით დასამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი 2008 წელს კურსდამთავრებულ გენადი უბირიას და ივერი კახნიაშვილის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანების შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს: პროფ. მ ტუხაშვილმა, ასოც. პროფ. ნ.პაიჭაძემ

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ეკონომიკა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულებს - გენადი უბირიას და ივერი კახნიაშვილს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს რექტორის ბრძანებაში#1415/01-04, 06.10.2008 წ. მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ–მა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ცვლილებები, კერძოდ:

1. თეორიული ეკონომიკის მოდულში სავალდებულო კურსის სტატუსით შეთავაზებულია კურსი ,,ეკონომიკური საქმიანობა“ შემოდგომის (მესამე) სემესტრში; კურსს ,,ლიბერალური ეკონომიკის თეორია“ შეეცვალა სტატუსი

და არჩევითი კურსის სტატუსით შეთავაზებულია გაზაფხულის (მეორე) სემესტრში;

2. ეკონომიკური პოლიტიკის მოდულში დაზუსტდა სასწავლო კურსის სათაური შემდეგი სახით: ,,ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე“ (,,ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის“ ნაცვლად);
3. ეკონომეტრიკისა და მათემატიკური ეკონომიკის მოდულში სასწავლო კურსების – მიკროეკონომიკური მოდელირება - 1“ და ,,მიკროეკონომიკური მოდელირება - 2“ სილაბუსების ავტორად მიეთითა ასოც. პროფ. მერაბ ჯულაყიძე;
4. მოდულებში: თეორიული ეკონომიკა, ბიზნესის ეკონომიკა, ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია, საერთაშორისო ეკონომიკა სასწავლო კურსი ,,საქართველოს ეკონომიკა“ შეთავაზებულია ახალი სილაბუსით (ავტ. პროფ. ვლადიმერ პაპავა.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. მ. ტუხაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014-16 წლების ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში (იხ. დანართი);
2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესი.

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ა. მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესის ზოგადი დებულებები, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო დაფინანსების მოპოვების წესი, საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში დამატებები და ცვლილებები.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. მ. ტუხაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი ვერსია.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე **თ. ბერიძე**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი **მ. ნაცვალაძე**